ბრძანება:**ბ34. 342606122**
თარიღი:**02/03/2026**

მცხეთის მუნიციპალიტეტის 2027-2030 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის, საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის და ბიუჯეტის პროექტის ფორმირების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ

მცხეთის მუნიციპალიტეტის 2027-2030 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის, საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის და 2027 წლის ბიუჯეტის პროექტის სრულყოფილად შედგენის უზრუნველსაყოფად, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ და „ე.ვ“ ქვეპუნქტების, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 76-ე და 77-ე მუხლების, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის და „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის N385 ბრძანებით დამტკიცებული დანართი N4-ის საფუძველზე

ვბრძანებ

1. მცხეთის მუნიციპალიტეტის 2027-2030 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის, საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის და 2027 წლის ბიუჯეტის პროექტის მომზადების პროცესის კოორდინაციის მიზნით შეიქმნას სამუშაო ჯგუფი დანართი N1-ის შესაბამისად;

2. მცხეთის მუნიციპალიტეტის 2027-2030 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის, საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის და 2027 წლის ბიუჯეტის პროექტის მომზადების პროცესის კოორდინაციის მიზნით დამტკიცდეს:

ა) მცხეთის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო კალენდარი დანართი N2-ის შესაბამისად.

ბ) სტრუქტურული ერთეულების/საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ წარმოსადგენი განაცხადის ფორმები N3 - 11 დანართების შესაბამისად, მათ შორის:

ინფორმაცია პროგრამის/ქვეპროგრამის შესახებ (დანართი 3);
ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ-ების და შპს-ების შესახებ (დანართი 4);
ინფორმაცია კაპიტალური პროექტების შესახებ (დანართი 5);
ინფორმაცია სამსახურის/ორგანიზაციის ნაერთი მონაცემების შესახებ (დანართი 6);
ინფორმაცია პროგრამის/ქვეპროგრამის შესრულების თაობაზე (დანართი 7);
საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის 2025 წლის შეფასების თაობაზე (დანართი 8);
ინფორმაცია 2026 წლის სამოქმედო გეგმის შესახებ (დანართი 9);
ინფორმაცია 2027-2030 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის შესახებ (დანართი10);
ინფორმაცია 2027-2030 წლების ბიუჯეტის შესახებ (დანართი 11).

3. მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ სამსახურთან ერთად უზრუნველყოს მცხეთის მუნიციპალიტეტის 2027-2030 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის, საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმისა და 2027 წლის ბიუჯეტის პროექტის შემუშავებასთან დაკავშირებით, სამუშაო ჯგუფის კოორდინაცია და საბიუჯეტო ორგანიზაციებისთვის შესაბამისი სწავლების ორგანიზება.

4. ამ ბრძანების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „მცხეთის მუნიციპალიტეტის

2026-2029 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის, საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის და ბიუჯეტის პროექტის ფორმირების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ“ მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის 28 თებერვლის N ბ34. 342505924 ბრძანება.

5. ბრძანება ძალაშია გაცნობისთანავე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონულ სასამართლოში მისი გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. N17).

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

გოგი აბუაშვილი

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია-მერი